პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 აგვისტო ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 201 (14197)

კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების შესახებ

1968 წლის 23-26 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ი. ვორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. დ. ს. პოლიანსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. შელეპინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ამხ. ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ა. ა. გრომიკო;

ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. დუბჩეკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ი. სმრკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ო. ჩერნიკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფ. ბარბირეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ი. პილერი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ვ. რიგო, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ი. შპაჩეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ო. შვესტკა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. იაკუბი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ამხ. ბ. შიმონი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. გუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. იხერა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. მლინარჟი, გენერალ-პოლკოვნიკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ამხ. მ. ძური, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ამხ. ბ. კუჩერა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. გ. კოუკეკი.

მოლაპარაკების დროს გულახდილ ამხანაგურ დისკუსიაში განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ვითარების თანამედროვე განვითარებასთან, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალიზმის ხრიკების აქტივიზაციასთან, უკანასკნელ დროს ჩეხოსლოვაკიაში შექმნილ მდგომარეობასთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხუთი სოციალისტური ქვეყნის ჯარების დროებით შესვლასთან.

ორივე მხარემ მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ახლანდელ ვითარებაში მთავარია განახორციელონ ტისის ჩიერნაში მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილებანი და ბრატისლავის თათბირზე ჩამოყალიბებული დებულებები და პრინციპები, აგრეთვე თანმიმდევრულად განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს მოლაპარაკების დროს მიღწეული შეთანხმება.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციას, ხელმძღვანელობისა, რომელსაც განზრახული აქვს იხელმძღვანელოს იმ გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და მაისის პლენუმებმა იმ მიზნით, რომ სრულყონ საზოგადოების ხელმძღვანელობის მეთოდები, განავითარონ სოციალისტური დემოკრატია და განამტკიცონ სოციალისტური წყობილება მარქსიზმ-ლენინიზმის ბაზაზე.

მხარეები შეთანხმდნენ ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მდგომარეობის უსწრაფესი ნორმალიზაცია, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებმა საბჭოთა მხარეს აცნობეს მათ მიერ დასახული უახლოესი ღონისძიებანი, რომლებსაც ამ მიზნით ახორციელებენ.

ჩეხოსლოვაკიის მხარემ განაცხადა, რომ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მთელი მუშაობა ზემოქმედების ყველა ხაზით მიმართული იქნება იმისაკენ, რომ უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც ემსახურებიან სოციალისტურ ხელისუფლებას, მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს, საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების ინტერესებს.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა გამოხატეს სსრ კავშირის ხალხთა ერთსულოვანი მისწრაფება სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ხალხებთან მეგობრობისა და ძმობისადმი და დაადასტურეს, რომ მზად არიან უაღრესად ფართოდ და გულწრფელად ითანამშრომლონ ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სოციალისტური სოლიდარობის საფუძვლებზე.

მოკავშირე ქვეყნების ჯარები, რომლებიც დროებით შეივიდნენ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, არ ჩაერევიან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. მიღწეულია შეთანხმება მისი ტერიტორიიდან ამ ჯარების გაყვანის პირობების შესახებ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის კვალობაზე.

ჩეხოსლოვაკიის მხარემ განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გასცა შესაბამისი ბრძანებანი არ დაუშვან ისეთი ინციდენტები და კონფლიქტები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიონ სიმშვიდე და საზოგადოებრივი წესრიგი. მან მითითება მისცა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო სარდლობას კონტაქტი იქონიოს მოკავშირეთა ჯარების სარდლობასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ეგრეთწოდებული ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩეხოსლოვაკიის მხარეს არ უთხოვია ამ საკითხის დაყენება უშიშროების საბჭოს განსახილველად და მოითხოვს მის მოხსნას დღის წესრიგიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება განუხრელად განახორციელონ საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკა სოციალისტური თანამეგობრობის სოლიდარობის განმტკიცების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის დაცვის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია, ისევე როგორც წინათ, საკადრის პასუხს გასცემენ მილიტარისტულ, რევანშისტულ და ნეონაცისტურ ძალებს, რომლებიც ცდილობენ გადასინჯონ მეორე მსოფლიო ომის შედეგები, დაარღვიონ ევროპის ახლანდელი საზღვრების შეუვალობა. კვლავ დადასტურებულია მტკიცე გადაწყვეტილება განუხრელად შეასრულონ სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის დადებული მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვითი ძლიერება, აამაღლონ თავდაცვითი ვარშავის ხელშეკრულების ეფექტიანობა.

მოლაპარაკება გულახდილობის, ამხანაგობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების შეხვედრები

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში იყვნენ პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ველჩევი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ჟ. ფოკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. კლიმეკო; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ხ. ონეკერი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. კლიშკო.

აღნიშნული ქვეყნების დელეგაციებმა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ერთად, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი, მოაწყეს თათბირი და კონსულტაციები ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ერთსულოვნად მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება

26 აგვისტოს დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ლ. სვობოდა.

მოლაპარაკება გულახდილ ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

მოსკოვიდან გაემგზავრნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები

27 აგვისტოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები სამშობლოში გაემგზავრნენ. (საკდესი).

ვარკეთილის მეშვიდე რთველი

სიმაღაუისა და სიხარულის საამო განცდა გეუფლება, ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის თვალუწვდენ ზვრებს, რქადაგრეხილ ვაზებსა და კუმსი მტევნებით დამძიმებულ კალთებს რომ უცქერი. ცერის სიმსხო მარცვლებში სიმწიფისა და სიტკბოების მაღლი ჩაღვრილა. თავსაფრიანი ქალები ვაზის რიგთაშორისებში ჩამწკრივებულან, იკრიფება ქარვისფერი ყურძენი.

მეურნეობას (დირექტორი ი. კავილაძე) 700 ჰექტარი ვენახი აქვს. მოსავლიანი 300 ჰექტარია და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის აგროგანყოფილებებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

წელს მეურნეობამ ხახელმწიფოს გეგმით 750 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდოს. ვალდებულება 980 ტონას ითვალისწინებს.

პირველ აგროგანყოფილებას (გამგე ა. ჭაფოძე) 100 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვს. ჰექტარზე 40 ცენტნერის ნაცვლად 60 ცენტნერი უურძნისათვის იბრძვიან. ამიტომ არის, რომ აგრონომი გ. სირბილაძე, მევენახეები თ. წამალაშვილი, ს. აფციაური, ს. ზაქაიძე და სხვები წუთს უქმად არ კარგავენ, იმის ცდაში არიან, რომ დროულად დაამთავრონ რთველი და სხვა საშემოდგომო სამუშაოები, გაზარდონ ყურძნის მოსავლიანობა.

მეორე და მესამე აგროგანყოფილებასაც ასანი ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვთ და საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერის ნაცვლად 60 ცენტნერი ყურძნისათვის იბრძვიან. მეორე აგროგანყოფილებას რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ივანე გონაშვილი ხელმძღვანელობს, ხოლო ბრიგადირია სახელოვანი ახალგაზრდა ზოია ტაბატაძე. ზვრებში ცენტნერი ყურძნისათვის იბრძვიან. ამიტომ აგრონომი გ. სირბილაძე, მევენახეები თ. წამალაშვილი, ს. აფციაური, ს. ზაქაიძე და სხვები წუთს უქმად არ კარგავენ, იმის ცდაში არიან, რომ დროულად დაამთავრონ რთველი და სხვა საშემოდგომო სამუშაოები, გაზარდონ ყურძნის მოსავლიანობა.

მეორე და მესამე აგროგანყოფილებასაც ასანი ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვთ და საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერის ნაცვლად 60 ცენტნერი ყურძნისათვის იბრძვიან. მეორე აგროგანყოფილებას რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ივანე გონაშვილი ხელმძღვანელობს, ხოლო ბრიგადირია სახელოვანი ახალგაზრდა ზოია ტაბატაძე. ზვრებში ყველა სამუშაო მექანიზებულია.

...ხაურმეებზე ყურძნით სავსე უუთები მოჩანს. აქვე არიან მკრეფავები ლ. შუღლიაშვილი, თ. ზანგურაშვილი, ლ. წიკლაური და სხვები. ისინი დღეში 200 კილოგრამის ნაცვლად 250-300 კილოგრამ ყურძენს კრეფენ. თვითეული მტევნის ფაქიზად ეპყრობიან, სათუთად არჩევენ და ალაგებენ სუფთა უუთებში.

დღეჭალაკის მოსახლეობას საშუალება ეძლება ზამთარშიც მიიღოს ვარკეთილის ზვრებში მოკრეფილი ყურძენი. ვარკეთილელები 400 ტონაზე მეტ ყურძენს მაცივარში გაგზავნიან.

ვ. ყუშიტაშვილი.

სურათზე: რთველი ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ავტორისა.

უკანასკნელი ცნობები

ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობის გამო

27 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ პრაღაში დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ლ. სვობოდას მეთაურობით. დღის განმავლობაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრებისა და მთავრობის სხდომები, სადაც დელეგაციამ მოახსენა მოლაპარაკების შედეგები.

ხალხს რადიოთი მიმართა პრეზიდენტმა **ლ. სვობოდამ.** მან მადლობა გადაუხადა მშრომელებს მაღალი ნდობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია არის და არც შეიძლება არ იყოს სოციალისტურ თანამეგობრობაში. პრეზიდენტი შეეხო ჩეხოსლოვაკიაში ვითარების ნორმალიზაციის კვალობაზე. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიიდან მოკავშირე ჯარების გაყვანის პირობებს და აღნიშნა, რომ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების აღდგენამდე მათი აქ ყოფნა, პოლიტიკური რეალობაა. „ხედნეკი და დისციპლინა, — განაგრძო ლ. სვობოდამ, — რომელსაც დღემდე იჩენდით, ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტის საპირო პირობაა".

რადიოთი გამოვიდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. დუბჩეკი, რომელმაც ილაპარაკა მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგებზე.

პრაღაში შეიმჩნევა ვითარების გაუმჯობესების პირველი ნიშნები. პარტიული და სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ ღონისძიებებს წესრიგის დასამყარებლად. კვლავ გამოდის გაზეთი „რუდე პრავო" — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. უმჯობესდება ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა. სახლების კედლებს ხსნიან წამქეზებლურ პლაკატებს, შლიან წარწერებს.

როგორც კი რადიოთი გამოაცხადეს, რომ გადასცემენ ცნობას მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შესახებ, ათასობით პრაღელი რეპროდუქტორებთან შეიკრიბა. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკე მათ აღიქვეს, როგორც დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც სახავს ახალ შესაძლებლობებს კონტრრევოლუციური ძალებისა და იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტურ მონაპოვართა განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

იმპერიალისტური ძალებისათვის, რომლებსაც იმის იმედი ჰქონდათ, რომ ჩეხოსლოვაკიას ჩამოაშორებდნენ სოციალისტურ თანამეგობრობას, მოსკოვში მიღწეული შეთანხმება სერიოზული ლახტარი იყო. მთლიანად ჩაიშალა ნატოს ქვეყნების ცდა გამოეყენებინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო ეგრეთ წოდებული ჩეხოსლოვაკიის საკითხის ირგვლივ პოლიტიკური ასტერეის გაღვივებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის განცხადებამ, რომ მას არ მიუმართავს უშიშროების საბჭოსათვის თხოვნით ამ საკითხის დაყენებისა და იმის შესახებ, რომ მოითხოვს მოიხსნას ეს საკითხი დღის წესრიგიდან, მთლიანად ამხილა იმათი მაქინაციები, ვინც ცდილობს „გერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა გამოიყენოს მიზნებისათვის, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ამ ორგანიზაციის ამოცანებთან.

უკანასკნელ ხანს აქა-იქ გაისმოდა განცხადებანი, თითქოს მოკავშირე ქვეყნების ღონისძიებანი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მომხდარი ამბების გამო ზიანს აყენებენ მსოფლიო სოციალიზმს. ამჯერად განცხადებათა ავტორები ფარხმალს ყრიდნენ იმპერიალისტური პროპაგანდის წინაშე და, არსებითად, თანხმდებოდნენ კაპიტულაციას კონტრრევოლუციის წინაშე. ახლა ყველა ხედავს, რომ სინამდვილეში მოძმე სოციალისტური ქვეყნების მიერ ჩეხოსლოვაკიელი ხალხისათვის გაწეული დახმარება, მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგები განამტკიცებენ მსოფლიო სოციალიზმის პოზიციებს, აძლიერებენ საერთაშორისო კომუნისტურ მუშათა მოძრაობას, ლაბავარს სცემენ იმპერიალისტურ რეაქციას და ფუშავენ მის გეგმებს ჩეხოსლოვაკიის მიმართ.

ბრძოლა იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდნენ ისინი, მოითხოვს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შემდგომ შეკავშირებას. ამ ბრძოლაში გვმართებს პრინციპულობა და თანმიმდევრულობა, სიმტკიცე და მოქნილობა, რეალური ვითარების გათვალისწინება და იმ პასუხისმგებლობის შეგნება, რაც სოციალისტურ ქვეყნებს აკისრიათ.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირი, როცა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

საკდესი, 27 აგვისტო.

სოციალიზმის ძალები უძლეველია

საბჭოთა ადამიანები გულითადად იწონებენ კომუნიკეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების შესახებ

საკრებულო დოკუმენტი

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების კომუნიკეს სიხარულით შევხვდი.

პირადად მე ბევრი რამ მაკავშირებს სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიასთან. იქ არა ერთხელ ვყოფილვარ და ბევრი მეგობარიც მყავს.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი კომუნიკე იმის საბუთია, რომ საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება განუხრელად განახორციელონ საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის დაცვის ინტერესებისათვის.

ვასილ კაპინაშვილი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი.

ერთიანობა, სიმტკიცე

როგორც უნდა ეცადონ რეაქციული ძალები უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. ვერ შეძლებენ ამას, ვერ გამართიშავენ ჩეხოსლოვაკიას სოციალისტური ბანაკიდან. ასეთია თქვენი ბიჭერი, მშრომელი, სამშობლოს მოსიყვარულე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ნებასურვილი.

კომუნიკე, რომელსაც გუშინ რადიოთი გავეცანით, ვვამცობს სოციალისტური ბანაკის ერთობლიობას, სიმტკიცესა, მეგობრობასა და თანამშრომლობას.

რა, ვგეთქვიო ქართველ მეცნიერებს, ალბად ბრძანა, რომ გულითადი, ძმური სალამი გადავცეთ ჩვენს ჩეხოსლოვაკიელ კოლეგებს, მთელ მშრომელ ხალხს. ვესურვოთ მათ მშვიდობა, დღეგრძელობა, შემდგომი აყვავება და ძლიერება.

პროფ. გიორგი ჩიტაია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მეშვიდობა გაიმარჯვებს!

დიდი ყურადღებით მოვისმინეთ კომუნიკე სსრ კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების შესახებ. რომელიც რადიომ გადმოსცა. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ერთხელ კიდევ მოწმობს სოციალისტური ქვეყნების ერთგულებას კომუნისტური ინტერნაციონალიზმისადმი. მოწმობს, რომ სკკპ და საბჭოთა მთავრობა განუხრელად იბრძვიან საყოველთაო მშვიდობისათვის, სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიელ ხალხის მეგობრობა ურღვევია, რომ ჩვენ ყველანაც ერთად ვიქნეთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ნაიელ გზაზე.

იაკინთე ლისაშვილი.

მწერალი.

„კომუნისტი“ ჯალალ ვოლინსკის

სახალხო კონტროლის გვერდი N 44

რაიონული გაზეთი

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოისმინა თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოთა ანგარიში იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ახორციელებენ თბილისის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სახელმწიფო საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს თბილისის საქალაქო აღმასკომის საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოებმა სახალხო კონტროლის ორგანოებთან ერთად დიდი მუშაობა გასწიეს სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ახლა ქალაქის ყველა რაიონის აღმასკომებთან და ვაჭრობის მსხვილ საწარმოებში შეიქმნა კომისიები საცალო ფასების დაცვისადმი კონტროლის გასაწევად. ყველა სავაჭრო ორგანიზაციებში შემოღებულია ეკონომისტის თანამდებობა, რომელიც კონტროლს უწევს ფასწარმოქმნას, შეიქმნა წყობილი კვების პროდუქტების ცენტრალიზებული წესით შემოზიდვა. საკმარისად არ ინერგება მოწინავე საწარმოთა მუშაობის გამოცდილება, სუსტად წარმოებს ბრძოლა ვაჭრობის წესების დარღვევების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ხშირია სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევის შემთხვევები: ცუდად რეცხავენ ჭურჭელს, არა აქვთ ცხელი წყალი, კარგად არ ასუფთავებენ შენობებს. ჯეროვნად ვერ ინახავენ პროდუქტებს, მომსახურე პერსონალი არ იცავს პირადი ჰიგიენის წესებს.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მაღაზიების, სასადილოების დირექტორები და გამგეები ჯერ კიდევ ვერ წყვეტენ დამაკაფიოფილებელ საკონტროლო სალარიერების გამოყენების, საპრისკურანტო მეურნეობის მოწესრიგების. სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობის სწორი ექსპლოატაციის საკითხებს.

ჯეროვან სიმაღლეზე ვერ არის საქონელმცოდნეთა მუშაობაც, ვერ ითვალისწინებენ გამოყოფილ ფონდებს.

სუსტად მუშაობს სამმართველოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების საკონტროლო-სარევიზიო აპარატი. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მყიდველთა ზომა-წონაში, ანგარიშში მოტყუების, საცალო ფასების დარღვევის ფაქტები. ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი სავაჭრო-მატერიალურ ფასეულობათა და სამეურნეო ინვენტარის ინვენტარიზაციის. აღრიცხვისა და ჩამოწერის დროულად და სწორად მოწყობის საქმეში. სუსტ კონტროლს უწევენ მოსახლეობის მომსახურების კულტურის მდგომარეობას და არის საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვეევები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოისმინა და განიხილა სახელმწიფო საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი და მოსთხოვა საცალო სავაჭრო ორგანიზაციების სამმართველოებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების უფროსებს აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი, მოაწყონ სასურსათო და სამრეწველო საქონლის შეუფერხებელი ვაჭრობა, ძირეულად შეცვლონ სამეთაფო ვაჭრობის ბაზებიდან და სამრეწველო საწარმოებიდან საცალო ქსელში საქონლის შეზიდვის პრაქტიკა, მოაწესრიგონ საქონლის შეზიდვა საცალო სავაჭრო საწარმოთა განაცხადებით; შუსტად დაიცვან პროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის ვადები მაღაზიებში, აგრეთვე ნედლეულისა და მზა პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ვადები საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და განსაკუთრებით მუშათა სასადილოებში. აღმოფხვრან ვაჭრობის წესების დარღვევები, გაამლიერონ ბრძოლა მომხმარებელთა ზომაში, წონასა და ანგარიშში მოტყუების წინააღმდეგ, მაღაზიებში გადდებული მოთხოვნის საქონლის გადამალვის შემთხვეევების წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ვაჭრობის განყოფილებასა და ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტს სისტემატურად შემოწმონ მოცემული დადგენილების შესრულება. რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ავტომატრანსპორტო კანტორების უფროსებს ს. კვინიკაძისა და შ. გუგუშვილს დაავალათ განახორციელონ ცენტრალიზებული წესით საქონლის შეზიდვის საჭირო ღონისძიებანი. მთავრობისადმი შენის უფროსმა გ. შენგელიამ ახალი შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემის მომენტისათვის მთლიანად უნდა უზრუნველყოს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ პირველ სართულებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დამთავრება. (საქდინ).

ნაკლი რომ აღიკვეთოს

წესრიგი დაეამყაროთ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში

●

მუდმივი სემინარები პრეისკურანტების შესასწავლად, შემოღებულია კვების პროდუქტების ერთიანი საცალო ფასები სასალო ბუფეტებში, შედგენილია კულინარული ნაწარმის პრეისკურანტთა კრებულები. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ახალი ობიექტები.

ვაჭრობის ბევრ ობიექტზე შემოღებულია მოსახლეობის მომსახურების ახალი ფორმები — ისეთი, როგორიცაა სადილების შინ მიტანა, კეთილმომსახურების მაგიდა და სხვა.

გაუმჯობესდა კონტროლი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში. 26 კომისრის სახელობის რაონში მე-3 საცხოვრებელი მასივის ტერიტორიაზე მოეწყო ვაჭრობის წესების დარღვევების წინააღმდეგ, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ერთვიანი.

ამასთან, ვაჭრობასა და საზოგადოებრივი კვების, საწარმოებში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ბევრ ობიექტზე ჯეროვნად არ არის მოგვარებული ტექნიკური და სანიტარული მდგომარეობა, აღმოფხვრილი არ არის მომხმარებლისადმი უუურადღებო დამოკიდებულების ფაქტები. ხშირია შეფერხება ისეთი საქონლის ვაჭრობაში, რომელიც საკმო რაოდენობითაა სავაჭრო ორგანიზაციების ბაზებსა და საწყობებში. სერიოზული ნაკლოვანებანია ქალაქის ბურის საცხობ საწარმოთა მუშაობაში. სავაჭრო ობიექტებზე ჯერ კიდევ ცოტაა დაფასოებული საქონელი, არადამაკმაყოფილებლად არის მოწესრიგებული ინვენტარიზაციის ჩატარება. ბევრ ადგილას ინვენტარიზაციის ანგარიშებში ბევრი ხარვეზია. ბევრ ადგილას ინვენტარიზაციის ანგარიშებში ბევრი ხარვეზია. ბევრ ადგილას ინვენტარიზაციის ანგარიშებში ბევრი ხარვეზია. ბევრ ადგილას ინვენტარიზაციის ანგარიშებში ბევრ ადგილას ინვენტარიზაციის ანგარიშებში ბევრ ადგილას ინვენტარიზაციის ანგარიშებში

საერთაშორისო ცხოვრება

გამოვიდა „რუდე პრავო“

პრაღა, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ კვლავ გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რუდე პრავო“, რომელიც რამდენიმე დღეს არ გამოდიოდა.

პირველ გვერდზე დაბეჭდილია ცნობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ლ. სვობოდას მეთაურობით ჩეხოსლოვაკიის დელეგაციისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე ლ. სვობოდას მიმართვა ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქეებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მოლაპარაკებას ახასიათებს პროგრესი“.

გაზეთის სარედაქციო საბჭოს მიმართვაში მკითხველებისადმი ნათქვამია, რომ „რუდე პრავო“ „ოფიციალურად არჩეული ცენტრალური კომიტეტის“ ორგანოა, რომ მას „აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც შექმნა ეგრეთწოდებულმა საგანგებო მე-14 ყრილობამ, რომლის მოწვევა და საქმიანობა შინაპარტიულ დემოკრატიის ყველაზე ელემენტარული ნორმების დარღვევა იყო“.

„ჩვენი. პოლიტიკური პლატფორმა, — განაგრძობს გაზეთი, — იმ პოლიტიკური ხაზის თანმიმდევრული განხორციელებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადწყვეტილებანი და პარტიის მოქმედების პროგრამა“.

„ამ დღეების მეტისმეტად რთულ ვითარებაში, დაძაბულ ატმოსფეროში, — აცხადებს სარედაქციო საბჭო, — ჩვენ გვინდა ყოველნაირად შევუწყოთ ხელი მის თანდათანობით ყოველმხრივ კონსოლიდაციასა და დამშვიდებას. ჩვენ გვესმის, რომ ეს უაღრესად რთული ამოცანაა. მისი წარმატებით შესრულება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მოქალაქეთა ნამდვილად სწორ, ობიექტურ ინფორმირებაზე, რაც საშუალებას მისცემს ხოლიალიზმის ერთგულ ადამიანთა დიდ უმრავლესობას დაინახოს ყალბი თამაში და შეიგნოს რეალური საფრთხე, რომელიც მშრომელთა ძირითად ინტერესებს ეკმნება“.

„ჩვენ, — ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, — მზად ვართ შეგიტანოთ ჩვენი წვლილი დაბრკოლებათა აღმოფხვრასა და ჩვენი პარტიის განმტკიცებაში, მისი ხელმძღვანელი როლის გაძლიერებაში, ჩვენს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის შემდგომი წარმატებით განვითარების უზრუნველყოფაში“.

გაზეთი აშუქებს უკანონო თავყრილობას, რომელსაც რეაქციული ელემენტები „მე-14 საგანგებო ყრილობას“ უწოდებენ. ყრილობის მოწყობას გაზეთი ახასიათებს როგორც „პარტიის წესდების არანაკლებ დარღვევას“.

სხვა კომენტარში გაზეთი ამხილებს რეაქციული ძალების პროვოკაციულ მანევრებს, რომელთა მიზანია „სიძულვილი და უნდობლობა გაუღვივონ პატიოსან ადამიანებს საბჭოთა კავშირისადმი“.

დროული დასკვნები

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის

წარმომადგენლის პრეს-კონფერენცია

პარიზი, 26 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა მხარს უჭერს ხაზს, რომლის მიზანია სოციალისტური ბანაკის ერთობის გაძლიერება, და სოციალისტური ქვეყნების მოქმედებას სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად, განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პარიზის მოლაპარაკებაზე ნგუენ თხან ლემ. **გამოვიდა რა დღეს პრეს-კონფერენციაზე, მან აღნიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იწონებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მოქმედებას.**

თავის გამოსვლაში ნგუენ თხან ლემ კვლავ დაგმო ამერიკის მხედრობონის სისხლიანი დანაშაული ვიეტნამში. ამერიკის საზოგადოებრივი აზრის დიდი ნაწილი, აღნიშნა მან, ილაშქრებს ჯონსონის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ომი, უპირობოდ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა და ომის სხვა აქტები მის წინააღმდეგ, ცნოს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი და ჯარები გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან.

რა მჯერა და რა არა მჯერა

როგორც აშუქებენ ამ დღეებში ჩემს ქვეყანაში ჩეხოსლოვაკიის ამბებს, ეს ბრიტანელ სოციალისტს უპრეცედენტოდ ეჩვენება. 1930 წლიდან არც ერთ ოფლენას არ დაუკავებია ამდენი ადგილი გაზეთების ფურცლებზე და ტელევიზიის პროგრამებში; ჯერ კიდევ არასოდეს ბრიტანეთის პრესა ესოდენ ერთსულოვანი არ ყოფილა იმაში, რომ დაეგმო და გაეკიცხებინა საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნები, რომელთა ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის საზღვარი გადაჭრეს. ამაზე ისე ბევრს ლაპარაკობენ და წერენ, რომ თვალები უნდა მოისრისო, რათა დარწმუნდე იმაში, რომ ეს კოშმარული სიზმარი კი არ არის, არამედ უდიდესი ფარისევლობა, ცინიზმი, და სიცრუეა.

მე ვცხოვრობ იმ სამყაროში, სადაც იტანჯება საბერძნეთი, სადაც ყოველდღე ფეთქდება ამერიკის ბომბები და გიზგიზებს ნაპალმი ვიეტნამში, სადაც ხდება აგრესია ახლო აღმოსავლეთში. მე ვცხოვრობ იმ სამყაროში, სადაც აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ხალხები იძულებული არიან იბრძოდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ჩაგრავდა მათ, სიღატაკეში ჰყავდა და ისინი ახლაც ემუქრება მათს თავისუფლებას.

მე ვცხოვრობ იმ სამყაროში, სადაც ყველგან და ყოველდღე ხოცავენ, წამებენ და საპყრობილეებში ამწყვდევენ სოციალისტებს. ახლათა ეს დასავლეთ სამყარო.

ამიტომ მე, როგორც სოციალისტი, ძალიან მწავედ ვგრძნობ, ვინ არის ჩემი მტერი, და ვინ — მოკავშირე. და სწორედ ამიტომ ჩემს მოკავშირეებად არ მიმაჩნია ინგლისის გაზეთები და სატელევიზიო კომპანიები, რომლებისთვისაც სოციალიზმი — და თვით სიტყვა „სოციალიზმი“ — მტრულია.

ჩემს მოკავშირეებად არ მიმაჩნია ის პოლიტიკანები, რომლებმაც თავის დროზე ჩეხოსლოვაკია („დემოკრატიული“ კაპიტალისტური ჩეხოსლოვაკია) ჰიტლერს მიჰყიდეს და ამ აქტს „მხსნელი“ უწოდეს.

ჩემს მოკავშირეებად არ მიმაჩნია ინგლისის, ავსტრალიის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკანები, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში.

ჩემს მოკავშირეებად არ მიმაჩნია ის მწერლები და ჟურნალისტები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათი პირადი „თავისუფლება“, მათი საკუთარი უფლებები გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძოლა ახალი საზოგადოების აშენებისათვის, რომელიც ბოლო მოეღება შიმშილს, ექსპლოატაციასა და უმეცრებას.

და მაინც სწორედ ეს ადამიანები დასავლეთში იმის ბრეტნიანის აცხადებენ, რომ ისინი ჩეხოსლოვაკიის მეგობრები და დამცველები არიან. არა მჯერა მათი.

არა მჯერა ლონდონის „ტაიმსისა“, როცა იგი კომუნისტების სახელით გამოდის.

არა მჯერა ბრიტანეთის წარმომადგენლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როცა იგი კომუნისტებს აქებს. და როცა ინგლისში მყოფი ჩეხოსლოვაკური, პოლონური, უკრაინული, ლიტვური და სხვა ანტიხალხური ემიგრანტული ორგანიზაციები, რომლებიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სოციალისტურ სისტემას ცილსა სწამებდნენ, დემონსტრაციებს მართავენ „ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიის“ დასაცავად. — არა მჯერა მათი!

არა მჯერა ბი-ბი-სის „აღმოსავლეთის ექსპერტებისა“, რომლებიც ორი ათეული წლის განმავლობაში ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ სოციალისტური წყობილებისათვის ჩეხოსლოვაკიაში ახლა კი თავიანთ ყაიდაზე განმარტავენ იმას, რაც ჩეხოსლოვაკიაში ხდება.

გული მტკივნა იმან, რომ დავკარგე ზოგიერთი მეგობარი, რომლებიც უნებურად დადგნენ მუშათა კლასის ყველაზე ძველი მტრების მხარეს. მე კვლავ მჯერა ვიეტნამის, საბერძნეთის, აფრიკის და აზიის ხალხებისა. მჯერა ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირის ხალხებისა. ერთი წუთითაც არ მეშალება ეჭვი იმაში, რომ მთელი ეს ბურუსი, რომლითაც ერთი კვირის განმავლობაში თვალს ვეფარებენ იმპერიალისტთა პროპაგანდა, გაიფანტება, იმიტომ რომ ჩეხოსლოვაკიაში საოად მოაზროვნე ადამიანები გამონახავენ საერთო ენას თავიანთ წამდვილ, სოციალისტ მოკავშირეებთან.

მტკივდა მწამს სოციალისტური ხასიათი, და ის, რაც გასულ კვირაში მოხდა (ვასაკუთრებთ ამ სახით, როგორც ამას დასავლეთში განმარტავენ), ვერ შემირყევს რწმენას.

ჯეიმს ოლდრიჯი,

ინგლისელი მწერალი.

„პრავდა“, 27 აგვისტო.

საბჭოთა კავშირ — სომალის თანამშრომლობა

მოგადიშო, 26 აგვისტო. (საკდესი). სომალის დედაქალაქში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-სომალის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის 1961 წლის 2 ივლისის შეთანხმების ოქმს. ოქმი ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქ კისმაიოს ხორცის კონსერვის კომბინატისა და მოგადიშოს რძის ქარხნის, ჯელების სახელმწიფო მეურნეობის ექსპლოატაციასთან და უახლოეს ხანში სახელმწიფო ობიექტების — ლასხორის რიფინერიის თევზის კონსერვის ქარხნისა და ბერბერის წყალლრმა ნავსადგურის მშენებლობის დამთავრებასთან.

სომალის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა სომალის პრემიერ-მინისტრმა მაჰამედ ჰაჯი იბრაგიმ ეგალმა, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. ალიბანოვმა.

იზრდება დანაშაულობა

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია იმით, რომ იზრდება დანაშაულობა არასრულწლოვანთა შორის. სამართალდარღვევის განსაკუთრებით დიდ პროცენტს შეადგენს მაღაზიების გაქურდვა. როგორც მონაცემები მოწმობენ, რომლებიც „ივნინგ სტანდარდმა“ გამოაქვეყნა 14 წლამდე ასაკის ლონდონელ მოსწავლეთა 13 პროცენტი პოლიციამ დააკავა მაღაზიებში ქურდობის დროს. კიდევ უფრო მეტი სამართალდამრღვევი ახალგაზრდა დაუსჯელი დარჩა.

დაპატიმრებანი პარაპასში

კარაკასი, 27 აგვისტო. (საკდესი.) **აქ პოლიცია თავს დაესხა ფან-ჟაკ რუსოს კოლეჯს და დააპატიმრა 30-ზე მეტი კაცი.**

კერძოდ, დაპატიმრებულია ვენესუელელი მომღერალი სოლედად ბრავო. დაპატიმრებულთ ბრალად სდებენ, რომ კაშირი ჰქონდათ „საერთაშორისო ტერორიზმის ქსელის ოპერატიულ შტაბთან“, რომელიც თითქოს კოლეჯში არსებობდეს.

ვენესუელის უნივერსიტეტების ცენტრების ფედერაციამ გამოაქვეყნა პროტესტი პოლიციის ამ ცილისმწამებლური მონაჭორების წინააღმდეგ და მოითხოვა დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

ბოლოდ ფაქტები

□ **ჰანოი,** 27 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტელებმა 25 აგვისტოს ნგეანის პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკული თვითმფრინავი, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში შეიჭრა. კიდევ ორი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს 20 აგვისტოს თჰანჰოისა და ჰატინის პროვინციებში.

სულ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამერიკელმა აგრესორებმა დაკარგეს 3.116 თვითმფრინავი.

□ **ვაშინგტონი,** 27 აგვისტო. (საკდესი). 1967 წელი რეკორდული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილი დანაშაულის რიცხვით, აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოველწლიურ ანგარიშში.

როგორც გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა ჰუვერმა განაცხადა, შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა 3,8 მილიონზე მეტი მძიმე დანაშაული. ეს 16 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წელს იყო, და 89 პროცენტით მეტი, ვიდრე 1961 წელს.

● **კაირო,** 26 აგვისტო. (საკდესი). არაბი პარტიზანები წარმატებით ოპერაციებს ახორციელებენ ისრაელ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

19 აგვისტოს ღამით, ნათქვამია პალესტინის „ალ-ფატახის“ ორგანიზაციის აქ გავრცელებულ კომუნიკეში, პატრიოტების მიერ ბორგ ნაგის დანაღმულ გზაზე აფეთქდა ისრაელის ყველაზე მსუქანი. ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ მოსპეს ყველა ოკუპანტი, რომლებიც ამ მანქანაში იყვნენ.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). დემოკრატიული პარტიის ყრილობის წინ ქალაქში გაიმართა ახალგაზრდობის გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვს ვიეტნამში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ხუთიათასზე მეტმა ახალგაზრდა ამერიკელმა, რომლებიც ჩიკაგოში ჩამოვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტის მოწოდებით:

პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზები და გარეკა დემონსტრანტები. შეტაკების შედეგად 15 კაცი მძიმედ დაშავდა, ათობით კაცი დაპატიმრებულია.

კვირის დემონსტრაცია მასობრივი გამოსვლების მხოლოდ პირველი სერია, რომლებიც ამერიკის ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციებმა დაგეგმეს მმართველი პარტიის ყრილობის დროს.

დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე

ჩიკაგო, 27 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსევი და ჰ. ფრიმენი გვატყობინებენ:

გუშინ „საერთაშორისო ამფითეატრში“ გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ყრილობის მთავარი ამოცანაა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელება და პარტიის საარჩევნო პლატფორმის დამტკიცება.

„ამფითეატრის“ შენობას მავთულხლართები აქვს შემოვლებული. დაახლოებით 26.000 პოლიციელი, ეროვნული გვარდიელი და ჯარისკაცი უზრუნველყოფს მმართველი პარტიის ყრილობის უშიშროებას. გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სალუმლო სამსახურის ასობით აგენტი ყველგან ირევა და საგულდაგულოდ ამოწმებენ ყველა შემსვლელსა და გამომსვლელს.

პირველ სხდომაზე ძირითადი სიტყვა წარმოთქვა სენატორმა ჰუბერტ ჰემფრი. იგი უჩიოდა სიძნელეებს, რომლებსაც მმართველი პარტია აწყდება შინ და საზღვარგარეთ, და აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ღრღნის უკმაყოფილება. ორატორმა აღნიშნა, რომ პატივს არ სცემენ „ინსტიტუტებსა და ხელმძღვანელებს“. „მდელვარებამ, — თქვა მან, — თავზარი დასცა ბევრ დიდ ჭალაჭს; ნგრევის კვამლში კაპიტოლიუმის გუმბათიც კი გაიბნა. ვაშინგტონში წესრიგის აღსადგენად ორჯერ მეტი ჯარები დასჭირდათ, ვიდრე ვიეტნამში ქხესანის დაცვის დროს გამოიყენეს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მკვლელებმა ქვეყანას სამი დიდი ლიდერი მოუკლეს; მრისხანე პროტესტის ხმა მთელ ამერიკაში გაისმის“.

მაგრამ სენატორმა მხოლოდ აღიარა ყოველივე ეს და არ დაუსახავს ამერიკის შეერთებული შტატების საარსებო პრობლემების გადაწყვეტის რაიმე გზა. მან მხარი დაუჭირა მთავრობის საგარეოპოლიტიკურ კურსს.

როგორც იუწყებიან პრეს ინტერნაციონალის საგანგებო ფურცელი, საარჩევნო პლატფორმის შემუშავებელმა კომიტეტმა ხმის უმრავლესობით — სამოცდაორი ოცდათხუთმეტის წინააღმდეგ — მხარი დაუჭირა მთავრობის საგარეოპოლიტიკურ კურსს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და უარყო სენატორების მაკარტისა და მაკკოვერნის, აგრეთვე, რობერტ კენედის მოსახრეთა მოთხოვნა შეწყვეტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. ეს გარემოება ალბათ მწვავე დისკუსიას გამოიწვევს ყრილობაზე.

ამ დროისათვის ამერიკის სხვადასხვა კუთხიდან ათასობით ახალგაზრდა ამერიკელი ჩამოვიდა ჩიკაგოში. რათა პროტესტი გამოეცხადებინათ გაშინგტონის საგარეოსამოო პოლიტიკის გამო. პოლიციი ხელკეტებით ფანტავს დემონსტრანტებს, ბატიმრებს მაო. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში 23 საათიდან შემოღებულია კომენდანტის საათი.

ბონის კარნახით

ბერლინი, 26 აგვისტო. (საკდესი). **უკანასკნელ დროს ცნობილი გახდა ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ სულ უფრო აქტიურდებიან დასავლეთ გერმანიის წრეები ჩეხოსლოვაკიაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, და ამხილებს ბონის „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ არსს.**

გუშინ დასავლეთ გერმანიის „ფედერალური სასაზღვრო დაცვის“ ჯარების სარდალმა გენერალმა ფონ პლატენმა დემონსტრაციული საინსპექციო მოგზაურობა მოაწყო ჩეხოსლოვაკიასთან მოსაზღვრე რაიონებში— დასავლეთ გერმანიის ბავარიის მხარეში. როგორც ადნ-ის საგაზეთოს კორესპონდენტი იტყობინება, პლატენმა „სასაზღვრო დაცვის ვერტმფრინავით“ იფრინა ჩეხოსლოვაკიის საზღვრის გასწვრივ. ამასთან დაკავშირებით „სასაზღვრო დაცვის — ზეიდის“ სარდლობამ მიუნხენში გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სასაზღვრო ჯარები მოშზადებული არიან „თავიანთი პოლიციური ამოცანების ფარგლებში ყველა შედეგისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ჩეხოსლოვაკიაში შექმნილ ვითარებას“.

ამავე დროს უშუალოდ ჩეხოსლოვაკიის საზღვართან ახლოს ქალაქ შირნდინგში მოეწყო „სუდეთელ გერმანელთა სათვისტომოს“ რევანშისტული თავყრილობა, ეს თავყრილობა, რომელშიც დაახლოებით 3 ათასი კაცი მონაწილეობდა, მიმდინარეობდა ანტიჩეხოსლოვაკიური ლოზუნგებით.

ადნ-ის საგაზეთო იუწყება, რომ, როგორც გამოირკვა, კონტრრევოლუციური ძალებისათვის მიცემული ინსტრუქციები, რომლებსაც ირალეგალური რადიოსადგურები ავრცელებენ, შინაარსითა და ფორმით თითქმის მთლიანად ემთხვევა მითითებებს, რომლებიც წინასწარ რადიოსადგურმა „თავისუფლმა ევროპამ“ გადასცა.

ROMA მიუნხენში დაკავშირებულია ჩეხოსლოვაკიაში კონტრრევოლუციური და ანტისოციალისტური ძალების კრალეგალურ რადიოგადამცემებთან.

ადნ-ის საგაზეთო იუწყება, რომ, როგორც გამოირკვა, „ბონის ფედერაციული რესპუბლიკის პრაღის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები აქტიურ საქმიანობას ეწევიან — გამოდიან რადიოსადგურ რიასის (დასავლეთი ბერლინი) „კორესპონდენტთა“ როლში. ეს რადიოსადგური „სარგებლობს“ დასავლეთ გერმანიის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელთა „სამსახურით“, რომლებიც პირდაპირ პრაღიდან გადასცემენ ინფორმაციას კონტრრევოლუციონერთა მოქმედების შესახებ. ბონის წარმომადგენლები თავიანთ ბიუროს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში იყენებენ ამ პროვოკაციული ინფორმაციის გადაცემის ცენტრად.

ახლა ისინი სახეს არიდებენ ფოტოაპარატის ობიექტივს, თვალს ვერ უსწორებენ ადამიანებს (სურათი მარცხნივ). მაგრამ ჯერ კიდევ გუშინ არც ხირცხვილს გრძნობდნენ და არც სინანულს, როცა პროვოკაციებს აწყობდნენ ხუთი მოკავშირე ქვეყნის ჯარისკაცების წინააღმდეგ, როცა მიმნდობ ადამიანებს უწესრიგობისა და უკანონობისათვის აქეზებდნენ. მაგრამ ტყუილად როდია ნათქვამი, უმსგავსო საქმე ხანმოკლეთ. ახლა ეს კონტრრევოლუციონერები გაუუნებლებულნი არიან. სურათზე მარჯვნივ — წამქეზებელური ფურცლები, რომლებსაც ავრცელებდნენ ჩეხოსლოვაკიელ ხალხის მოღალატე გარეწრები.

ფოტო „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტის მ. ალუხტარეფისა.

რეაქციონერთა გამოხდომები

ვარშავა, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც პოლონეთის დელეგთა საგანგებო იუწყება, რეაქციული და შოვინისტური ელემენტები ჩეხოსლოვაკიაში მტრულ აქციებს უწყობენ პოლონელ ტურისტებს.

შოვინისტთა ჯგუფები ქვას უშენენ პოლონეთის ავტობუსებს, რომლებშიც ექსკურსანტები სხედან, შეურაცხყოფენ ტურისტებს.

პრაღაში პოლონეთის კულტურის ცენტრის შენობის კედელზე რეაქციულმა ელემენტებმა გაკრეს პროვოკაციული ანტიპოლონური პლაკატები.

გერმანელ ჟურნალისტთა სმა

ბერლინი, 27 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტები მიესალმებიან ხუთი სოციალისტური სახელმწიფოს ღონისძიებებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის დასაცავად და ევროპის მშვიდობის უზრუნველსაყოფად, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელ ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა.

მეზობელ ქვეყანაში სოციალიზმის ბედითა და ევროპის მშვიდობის ბედით ღრმად შეშფოთებული, — ნათქვამია განცხადებაში, — თვალს ვადევნებდით, თუ როგორ გეგმაზომიერად იგდეს ხელთ მემარჯვენე და კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა პრესა, რადიო და ტელევიზია, თუ როგორ აძევებდნენ და აშინებდნენ სოციალიზმის ერთგულ ჟურნალისტებს, რათა „პრესის თავისუფლების“ შენიღბულ ღონისძიებათა საშუალებით ფსიქოლოგიური ომი გაეჩაღებინათ და ამრიგად მოემზადებინათ ნიადაგი კონტრრევოლუციისათვის.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კონტრრევოლუციის უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ დასავლეთ გერმანიის ტელევიზია, დასავლეთ გერმანიის რადიოსადგურები, შპრინგერის-პრესა და ბუნდესვერის პროპაგანდისტთა ასეულები“.

ჯარისკაცებისადმი

ბონი, 27 აგვისტო. (საკდესი). ბონის ფედერალური სასაზღვრო დაცვის ჯარების ინსპექტორმა ფონ ბეკერმა ბრძანება გასცა, ბონის ფედერალური რესპუბლიკის ჯარისკაცებს ეკრძალებოდეთ ჩეხოსლოვაკიაში ინფორმაციის მიღება.

ბონი ეგვიპტეს

ბონი, 27 აგვისტო. (საკდესი). ბონის ფედერალური რესპუბლიკა ეგვიპტეს ეკონომიურ დახმარებას აუწევს. ეგვიპტეს ბონი ასესხებს 50 მილიონ მარკას. ეგვიპტეს ბონი ასესხებს 50 მილიონ მარკას.

ბონი ეგვიპტეს

ბონი, 27 აგვისტო. (საკდესი). ბონის ფედერალური რესპუბლიკა ეგვიპტეს ეკონომიურ დახმარებას აუწევს. ეგვიპტეს ბონი ასესხებს 50 მილიონ მარკას. ეგვიპტეს ბონი ასესხებს 50 მილიონ მარკას.

თავისუფლება ბერძენ პატრიოტებს!

პარიზი, 26 აგვისტო. (საკდესი). „დემოკრატიული საბერძნეთისათვის მებრძოლ ფრანგთა კომიტეტმა „შეშფოთება გამოთქვა ახალი რეპრესიებისა და საბერძნეთის საზოგადოებრიობის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში დაპატიმრებების გამო. აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში კომიტეტი, კერძოდ, იუწყება, რომ ცნობილი პერძენი კომპოზიტორი მიკის თეოდორაკისი პელპონესის მიყრუებულ სოფელში გადაასახლეს. „დემოკრატიული საბერძნეთისათვის მებრძოლ ფრანგთა კომიტეტი“ მტკიცე პროტესტს აცხადებს ადამიანისა და მოქალაქის უფლების ამ ახალი ხელყოფის წინააღმდეგ და დაბეჯითებით მოითხოვს დაუყოვნებლივ გათავისუფლონ ყველა ბერძენი პოლიტიკური პატიმარი.

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გუშინ სალონიკში უშიშროების პოლიციამ ოცდაათამდე კაცი დააპატიმრა.

დაპატიმრებულთა შორის არიან სტუდენტები, მოსამსახურენი და მუშები-ორგანიზაციის „დემოკრატიის დაცვის“ წევრები. მათ შორის არის 37 წლის ადვოკატი სოკრატოს მაკრომატისი — ცენტრის კავშირის პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის გენერალური მდივანი. ეს პარტია შარშან აპრილში აკრძალეს ხელისუფლების სათავეში სამხედრო ხუნტის მოსვლის შემდეგ.

ისრაელის ახალი პროვოკაციები

იორდანიის წარმომადგენლის წერილი

უშიშროების საბჭოსადმი

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). იორდანიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ელ-ფარამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს აცნობა ისრაელის ახალი პროვოკაციები მისი ქვეყნის წინააღმდეგ.

იორდანიის წარმომადგენლის წერილში აღნიშნულია, რომ 25 აგვისტოს ისრაელის ტანკებმა და არტილერიამ ცეცხლი დაუშინეს იორდანიის რამდენიმე სოფელს, დაჭრეს იორდანელები, დაანგრიეს მეჩეთები. ელ-ფარამ აღნიშნა, აგრეთვე, რომ ისრაელის თვითმფრინავებმა იორდანიის ტერიტორიაზე ჩამოყარეს ფფრცლები, რომლებშიც აგრესიის ახალი აქტებით იმუქრებიან.

იორდანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი პროვოკაცია მისი ქვეყნის წინააღმდეგ ხდება სულ რამდენიმე დღის შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ დაგმო ისრაელი, ამასთან დაკავშირებით ელ-ფარამ ითხოვა, რომ უშიშროების საბჭო შეიკრიბა, რათა მიიღოს ისრაელის აგრესიის თავიდან აცილების უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

1. **დოლიძე** მამია კალისტოს-ძე — ტექნიკური სამსახურის კაპიტანი.
2. **კარგინი** გრიგოლ არქიპოს-ძე — ინჟინერი-კაპიტანი.
3. **ლუხუტაშვილი** ილგუჯა შალვას-ძე — ეფრეიტორი.
4. **ნანიკაშვილი** ოთარ ვალერიანის-ძე — ტექნიკოს-ლეიტენანტი.
5. **ყირიმელი** გიორგი არტემის-ძე — უმცროსი სერჟანტი.
6. **ხაჩატუროვი** სერგო არტემის-ძე (სიკვდილშემდგომ) — ცხინვალის ხე-ტყის მრეწველობის კომბინატის ყოფილი მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაშაძე

თბილისი,

1968 წლის 22 აგვისტო.

მამაცი მეხანძრეები

ეს ბენზინი! ეს საშინელი სურათი დაინახეს მეხანძრეებმა ივლისის ერთ-ერთ დღეს თბილისის „ელექტროშოლიტის“ ქარხანაში. მეხანძრეთა ქვეგანაყოფის მოსვლამდე ცეცხლი მოსდებოდა 25 ტონიან ცისტერნას და კოცონებივით ენთო 35 კასრი თითოეულში მეოთხედი ტონა ბენზინი იყო.

დაყოვნება არ შეიძლებოდა. ალი შეიძლება გვერდით მდგომ ხპირტით და ბენზინით სავსე ცისტერნებს, ნაჯარმოო შენობებს, საცხოვრებელ სახლებს, რკინიგზასა და მატარებლებს მოსდებოდა.

კასრები უკვე ფეთქდებოდა, ცისტერნის მილყელიდან ცეცხლის ნაკადი მიწაზე იღვრებოდა. ალმოდებულ ველზე ციხტერნისაკენ გაეშურნენ ქალაქის ოპერატიული მორიგე მ. დოლიძე, სახანძრო-საცდელი სადგურის უფროსი გ. კარგინი და ყარაულის უფროსი ო. ნანიკაშვილი.

წყლის ჭავლების დაცვით ისინი სწრაფად მივიდნენ გავარვარებულ ცისტერნასთან, რომელიც საცაა უნდა აფეთქებულიყო, და გადაკეტეს ვენტილის მილყელი.

მაგრამ ხანძარი დამორჩილებას როდი აპირებდა. საჭირო იყო უფრო ახლოს მისვლა და ცეცხლის ჩაქრობა მძლავრი წყლის ჭავლით. უფროსი მეხანძრე გ. ყირიმელი, მეხანძრე ვ. ლუხუტაშვილი თანამებრძოლებთან ერთად მოქმედებდნენ ზუსტად, გაბედულად, მტკიცედ. მათ არაფრად ჩაგდეს აფეთქების საფრთხე და მიუახლოვდნენ ცეცხლმოდებულ ბენზინით სავსე კასრებს და წყალი ასხეს მანამდე, სანამ ალი არ ჩაქრა.

მამაცი მეხანძრეების ვაჟკაცობამ გადაარჩინა ბევრი ადამიანის სიცოცხლე და დიდი მატერიალური ფასეულობანი.

...დილას ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ს. ხაჩატუროვი თავისი ავტოსატვირთველით მუშაობდა, გადაქონდა ხე-ტყის მასალა, ხუმრობდა, ისადილა შესვენების დროს... შემდეგ კი უბედურება დატრიალდა.

ცხინვალის ხე-

„საქართველოს კომუნისტი“ № 8

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკურ ჟურნალ **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალი იხსნება **მოწინავე** წერილით — ვეუხელმძღვანელოთ საქმის ცოდნით.

განყოფილებაში **„ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“** დაბეჭდილია: **ვ. ლობჟანიძე** — ლენინი და ხალხი; **ა. რუსიტაშვილი** — ვ. ი. ლენინი ქართველი გლეხობის სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში გამოქვეყნებულია: **ა. მექვაბიშვილი** — ლექციური პროპაგანდის ქმედითობისათვის; **მ. ბერიძე** — კომუნისტები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში; **მ. კეწელაშვილი** — კომუნისტები ზრუნავენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის; **კ. ბუკია** — პარტიული ორგანიზაცია და კომუნისტური შრომის დამკვრელები.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე სტატიები და წერილები: **გ. ვეკუა** — მიზეზობრიობის კატეგორია თეორიული მედიცინის ასპექტში; **ე. ღუდუშაური** — მთავარი მიმართულება — ტექნიკური პროგრესი; **ვ. ასათიანი** — „მშვიდობის სოციოლოგია“ მშვიდობის წინააღმდეგ; **ა. ჩავლეიშვილი** — ამერიკის იმპერიალიზმი — მსოფლიო ჟანდარმი; **ს. სახაროვი** — დაკვლიათ რელიგიური ტრადიციების გადმონაშთები ყოფაცხოვრებაში; საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია; ჟურნალის ძეგლებს — მზრუნველი ხელი.

ეროვნული პოლიტიკა

პელსინკის ფიცარნაგზე

ოლიმპიური ასპარეზობის წინ ძალოსნობის დიდი ტრადიციის ქვეყნებმა წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს ჰელსინკში და აქ საერთაშორისო ტურნირი ჰქონდათ.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სტარტის მაღალ შედეგებზე. სასიხარულოა, რომ ფინეთშიც ჩინებული გამოდგა. კიდევ სამ წონითს ჯატგორიაში საბჭოთა მტაბგირსტებმა პირველობა ორაკის დაუთმეს.

საშუალო წონაში ყველს აჯობა მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმერ ბელიაევმა.** სამჭიდში მისი შედეგია 480 კილოგრამი. დონეცკელი **ვ. კოროლევი** მეორე იყო — 457,5 კილოგრამი. ქვესაშუალო წონაში ბრძოლა ეკროპის უკანასკნელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა **ე. სმირნოვმა.** მძიმე წონაში წარმატება ხვდა **სტანისლავ ბატიშჩევს** — 540 კილოგრამი.

საკრიზო კიდევილები გაანადლდა

დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გასამაშება ფრენბურთში ქალთა გუნდებისათვის. უკანასკნელი ტურის შედეგებს ლიდერთა ჭგუფის მდგომარეობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. ჩემპიონი გახდა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, რომელმაც 44 თამაშიდან 83 ქულა შეაგროვა. მეორე სპარიანი ადგილი დაიკავა ირკუტსკის „სპარტაკმა“ — 79 ქულა. ბრონჯაოს მედლები მოიპოვეს ლენინგრადის „ბორეველენინგის“ ფრენბურთელებმა — 78 ქულა.

ტურნირი ლაიპციგში

ლაიპციგში დამთავრდა იუნიორთა ევროპის მეორე ასპარეზობა მძლეოსნობაში. ჩვენი სპორტსმენების ტრიუმფზე მეტყველებს მოპოვებული მედლების რაოდენობა — 18 ოქროსი, 12 ვერცხლისა და 11 ბრონჯაოსი. საბჭოთა მძლეოსნებმა ბევრად გაუსწრეს მეორე ადგილზე გამოსულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს, რომელთა აქტივში 11 ოქროს, 15 ვერცხლისა და 5 ბრონჯაოს მედალი.

ამ საერთო მაჩვენებლებთან ერთად დაფიქსირებულია ახალი რეკორდები. ჩვენი კონტინენტის მიღწევად იქნა აღიარებული საბჭოთა სპორტსმენების შედეგი ესტაფეტაში 4X400 მეტრზე. დრო — 3 წუთი და 12,8 წამი. სხვა კავშირის რეკორდი იქნა დამყარებული ესტაფეტაში 4X100 მეტრზე და მძლეოსნურ ხუთჭიდში. ესტაფეტაში ჩვენმა სპორტსმენებმა აჩვენეს დრო — 45,3 წამი, მძლეოსნურ ხუთჭიდში კი გაიმარჯვა **ტასია ბეჩკოვამ** — 4.582 ქულა. თარჯრენში 400 მეტრზე **ეგორ ბაბარიკინმა** შედეგი — 51,6 წამი ევროპის ახალი მიღწევაა. შეჯიბრებაზე სამ-სამი ოქროს მედალი მოიპოვეს კიეველმა **ვ. ბორზოვამ** და სვერდლოვსკელმა **ლიუდმილა ეარკოვამ.**

რამდენიმე სტრიქონით

● **რომში** დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება ველორბოლაში ტრეკზე. ქალთათვის სტარტი საბჭოთა სპორტსმენებისათვის ცუდი როდი გამოდგა. სპრინტერული ბრძოლაში მეოთხედფინალში გავიდნენ **ი. კირიჩენკო.** მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **გ. ერმოლაევა** და **ა. ბაგაია.**

● **მეგრეის** ჩემპიონატი მოტორბოლაში წიდიან ბილოგზე გაიმართა ვროცლავლის მოტოტრეკზე. წარმატება პოლონელ სპორტსმენს პაპელ ბულერმაც ხვდა, მან 13 ქულა შეაგროვა. საბჭოთა მოტორბოლელებიდან ყველაზე უკეთესად შედეგი აქვნდა **გენადი კარელინს.** მან 9 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა.

● **მაგდებურგში** გრძელდება მსოფლიოს პირველობა ტენისში. სადღეისოდ **ი. ნასტასეა** ერთადერთი ქალი, ვინც ოთხეულში ორ ადგილს ფლობს. ეს ოთხეული: **ნასტასე — ბეტანი — ბეტანი — ბეტანი.**

● **ბუენოს-აირესში** ფეხბურთელ **ანტონიოს** ბოლოს ბოლოს ბედნიერ ბილეთზე ერგო ბედნიერ ბილეთზე ერგო ბედნიერ ბილეთზე ერგო